SANS SECURITY AWARENESS

უსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების ყოველთვიური გამოცემა

მობილური მოწყობილობების უსაფრთხოების უზრუნველყოფა

მიმოხილვა

თქვენი მობილური მოწყობილობები მეგობრებთან კომუნიკაციის, შოპინგის, ონლაინ ბანკინგის, თამაშისა და სხვა მრავალი აქტივობის განსახორციელებლად არაჩვეულებრივი და მარტივი საშუალებაა. რადგან მობილური მოწყობილობები თქვენი ცხოვრების ასეთი მნიშვნელოვანი ნაწილია, გთავაზობთ რამდენიმე მარტივ ნაბიჯს თქვენი და თქვენი მოწყობილობების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

თქვენი მოწყობილობების უსაფრთხოების უზრუნველყოფა

შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ თქვენი მობილური მოწყობილობებისთვის ყველაზე დიდ საფრთხეს ჰაკერები კი არა, სავარაუდოდ თქვენ წარმოადგენთ. ალბათობა იმისა, რომ თქვენ დაკარგავთ მობილურ მოწყობილობას გაცილებით მაღალია, ვიდრე ის, რომ მას ჰაკერები გაგიტეხავენ. ეკრანის ავტომატური დაბლოკვის ფუნქციის გააქტიურება პირველია რაც უნდა გააკეთოთ თქვენი მოწყობილობის დასაცავად. შესაბამისად, ყოველ ჯერზე როდესაც თქვენი მოწყობილობის გამოყენება დაგჭირდებათ, ჯერ ეკრანის ბლოკი უნდა მოხსნათ ძლიერი პაროლის ან თითის ანაბეჭდის მეშვეობით. აღნიშნული უზრუნველყოფს იმას, რომ მოწყობილობის დაკარგვის შემთხვევაში უცხო პირი მასზე წვდომას ვერ მოიპოვებს. დამატებით გთავაზობთ კიდე რამდენიმე რჩევას:

განახლებები

იმისათვის, რომ თქვენი მობილური მოწყობილობის ოპერაციული სისტემა და მასზე არსებული აპლიკაციები მუდმივად განახლებული იყოს, გააქტიურეთ ავტომატური განახლებების ფუნქცია. ჰაკერები მუდმივად პროგრამული უზრუნველყოფების ახალი სისუსტეების ძიებაში არიან. მწარმოებლები კი თავის მხრივ უშვებენ შესაბამის განახლებებს იმისათვის, რომ აღმოფხვრან აღნიშნული სისუსტეები. მუდმივად განახლებული ოპერაციული სისტემები და აპლიკაციები მნიშვნელოვნად ართულებს თქვენი მობილური მოწყობილობის გატეხვას.

თვალყურის დევნება

დააყენეთ ან ჩართეთ სპეციალური პროგრამა იმისათვის რომ თვალყური ადევნოთ თქვენს მობილურ მოწყობილობას ინტერნეტით. ამ გზით თქვენ შეძლებთ მობილური მოწყობილობის ადგილმდებარეობის დადგენას მისი დაკარგვის ან მოპარვის შემთხვევაში, უარეს შემთხვევაში კი წაშლით მასზე არსებულ ყველა ინფორმაციას.

სანდო აპლიკაციები

გადმოწერეთ მხოლოდ ის აპლიკაციები რომლებიც გჭირდებათ და მხოლოდ სანდო რესურსებიდან. iPad და iPhone-ისათვის ეს ნიშნავს აპლიკაციების გადმოწერას ოფიციალური Apple App Store-იდან. ანდროიდის აპლიკაციები უნდა გადმოწეროთ Google Play-დან, Amazon ტაბლეტისთვის კი Amazon App Store-დან. როდესაც თქვენ იწერთ

აპლიკაციებს უცხო საიტებიდან, დიდი ალბათობით ისინი არ გადის შემოწმებას და დაინფიცირებულია. ასევე, სანამ გადმოწერთ აპლიკაციას შეამოწმეთ რომ მას აქვს პოზიტიური შეფასებები და ასევე აქტიური განახლებები მწარმოებლისაგან. მოერიდეთ უცნობ აპლიკაციებს, რომელთაც აქვთ ცოტა შეფასება და იშვიათად განიცდის განახლებას. და ბოლოს, მიუხედავად იმისა თუ საიდან გადმოწერეთ აპლიკაცია, რეკომენდაციას გაძლევთ წაშალოთ ის, თუ აღარ გჭირდებათ ან აქტიურად არ იყენებთ.

პრივატულობა

როდესაც აყენებთ ახალ აპლიკაციას, დარწმუნდით რომ შეამოწმებთ მისი პრივატულობის ოფციებს. მაგალითად, ნამდვილად სჭირდება თუ არა აპლიკაციას წვდომა ყველა თქვენი მეგობრის და კონტაქტის ინფორმაციაზე? ჩვენ ასევე გირჩევთ გააუქმოთ ადგილმდებარეობის დადგენის სერვისი ყველა იმ აპლიკაციისათვის, რომელსაც თვლით რომ ფუნქციონირებისათვის არ სჭირდება თქვენი ადგილმდებარეობის განსაზღვრა. თუ თქვენ არ გაკმაყოფილებთ აპლიკაციის სხვადასხვა ნებართვა თქვენი მოწყობილობის მიმართ, გამოიყენეთ სხვა ანალოგი, რომელიც თქვენთვის მისაღებია. ასევე, პერიოდულად შეამოწმეთ თუ რა ფუნქციებზე აქვს ნებართვა აპლიკაციას და დარწმუნდით რომ ისინი არ შეცვლილა.

სარეზერვო ასლები

ყოველთვის გააკეთეთ თქვენი მონაცემების სარეზერვო ასლები. მობილური მოწყობილობების შემთხვევაში ხშირად მონაცემები ავტომატურად განიცდის რეზერვაციას, მაგალითად ფოტოები ან სმს-შეტყობინებები. ასევე, სარეზერვო ასლები ხშირად შეიცავს ინფორმაციას თქვენი მოწყობილობის კონფიგურაციის, აპლიკაციების და სხვა საჭირო დეტალების შესახებ, შესაბამისად ადვილი ხდება მათი აღდგენა დაკარგული მოწყობილობიდან ან გადატანა ახალ მოწყობილობაზე.

მუშაობა

სამუშაო ადგილზე ყოფნისას, გამოიჩინეთ განსაკუთრებული სიფრთხილე, რათა ვიდეო და ფოტო გადაღებისას შემთხვევით არ გადაიღოთ სენსიტიური ინფორმაცია, დაფები, კომპიუტერის ეკრანები, და სხვა.

თქვენი მობილური მოწყობილობა არის ძლიერი ინსტრუმენტი და გსურთ მისი ფუნქციების შესაბამისი გამოყენება. ამ რამდენიმე მარტივი რჩევის გამოყენება დაგეხმარებათ თქვენი მოწყობილობის უსაფრთხოების დაცვაში.

რესურსები

პასფრაზები:	https://www.sans.org/u/A3E
სარეზერვო ასლები / აღდგენა:	https://www.sans.org/u/A3z
თქვენი მობილური მოწყობილობის განკარგვა:	https://www.sans.org/u/A3u
მობილური აპლიკაციების უსაფრთხო გამოყენება:	https://www.sans.org/u/A3p
SANS Security-ის დღის რჩევა:	https://www.sans.org/tip_of_the_day.php

ლიცენზია

 სარედაქციო საბჭო: Walt Scrivens, Phil Hoffman, Bob Rudis, Cherul Conley | თარგმანი: გიორგი გურგენიძე, გიორგი გოგიშვილი